

დაწართი 8: ძირითადი სერვისები და პროგრამები
ახალქალაქის მუნიციპალიტეტში



The European Union
for Georgia
ENPARD: Support to Agriculture
and Rural Development



ძირითადი სერვისები და პროგრამები ახალქალაქის
მუნიციპალიტეტში

დანართი 8: ძირითად სერვისები და პროგრამები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში



მუნიციპალური სერვისები

მუნიციპალიტეტი ზრუნავს სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, როგორცაა საბავშვო ბაღები, მუსიკალური სკოლები, სპორტული სკოლები, საცურაო აუზები და ა.შ. სამწუხაროდ, მას არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობები იზრუნოს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებები თემებში და ამჟამად იგი მხოლოდ ახალქალაქს მოიცავს.

მუნიციპალიტეტი ზრუნავს ადგილობრივი კანალიზაციისა და ნარჩენების მართვაზე. ამჟამად, ის მოიცავს ახალქალაქსა და იმ სოფლებს, სადაც საგზაო ინფრასტრუქტურა არის შეფასებული.

ადგილობრივი ხელისუფლება სოციალურ მხარდაჭერას უწევს ადგილობრივ მოსახლეობას. იგი იყენებს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შემუშავებულ საარსებო შეფასების კრიტერიუმს. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ადგილობრივ მოსახლეობის იმ ნაწილს ვინც 100,000 ქულამდეა. ფინანსური დახმარების ზღვარი მერყეობს 100-დან 1,000 ლარამდე. დაფინანსება მუნიციპალური ფონდიდან მომდინარეობს და წელიწადში ერთხელ გაიცემა. მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს ომის ვეტერანებს (12) და იძულებით გადაადგილებულ პირებს. მუნიციპალიტეტი გასცემს ერთჯერად დახმარებას 1500 ლარის ოდენობით ქიმიოთერაპიის, ჰემოდიალიზისა და ლეიკემიით დაავადებულ ადამიანებზე. ახალშობილების მშობლები ერთჯერადად იღებენ 250 ლარიან დახმარებას.

მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი პასუხისმგებელია სასოფლო-სამეურნეო საკითხების მონიტორინგსა და ანგარიშზე. დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად სოფლის მეურნეობის განვითარების რამდენიმე პროექტი განხორციელდა ადგილობრივი/ცენტრალური ხელისუფლებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

მთავრობის ინიციატივები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელით: "მეწარმეობის განვითარების სააგენტო"¹ (Enterprise Georgia):

- მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა (2014 წლიდან დღემდე). პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს მასშტაბით მიკრო და მცირე ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერისა და კონსულტაციების გაწევას.
- მთის განვითარების პროგრამა (2015 წლიდან დღემდე). პროგრამა მიზნად ისახავს მთიანი საქართველოს მიკრო და მცირე ბიზნესისათვის ფინანსური მხარდაჭერისა და კონსულტაციების გაწევას.
- სასტუმრო ინდუსტრიის ინიციატივები (2016 წლიდან დღემდე). საქართველოს რეგიონებში მოქმედი მეწარმეები სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ახალი კომპონენტით - სასტუმროს ინდუსტრიის წახალისება. მთავრობის გადაწყვეტილებით და ბაზრის მოთხოვნის² საფუძველზე, სქემა შემოღებულ იქნა სასტუმრო ბიზნესის ხელისშეწყობის, ქვეყნის მასშტაბით ტურისტების რაოდენობის გაზრდის, სამუშაო ადგილების შექმნისა და რეგიონების განვითარების მიზნით.
- "ფილმი საქართველოში" (2016 წლიდან დღემდე), ეს არის ახალი კინოინდუსტრიის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ფილმების ინდუსტრიის ადგილის ხელისშეწყობას, საქართველოში გაწეული

¹ Entrepreneurship Development Agency: <http://enterprisegeorgia.gov.ge>

² Hospitality and Real Estate Sector in Georgia 2016, .LEPL Invest in Georgia: <http://bit.ly/2tDpGGu>

დანართი 8: ძირითად სერვისები და პროგრამები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში

კვალიფიციური ხარჯების 20%-იან ანაზღაურებას ნაღდი ფულის შეთავაზებით. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს კინონდუსტრიის განვითარებას. 5%-იანი დანამატი ხელმისაწვდომია იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი ხელს უწყობს საქართველოს, როგორც მიმზიდველი ტურისტული დანიშნულების ადგილად წარმოჩენას. პროგრამა ხორციელდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს³ მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით:

- „დანერგე მომავალი“ (2015 წლიდან დღემდე). პროექტი „დანერგე მომავალი“ ინიცირებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ხორციელდება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს "გაერთიანებული აგროპროექტის" ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტით.
- აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა (2015 წლიდან დღემდე). პროგრამა ხორციელდება "სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრის ხელმისაწვდომობისა და სტაბილურობის პროექტის" (AMMAR) ფარგლებში. პროგრამა ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისა (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის (GEF) მიერ.
- შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტი (2013 წლიდან დღემდე). სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული "აგრო კრედიტის პროექტი", რომელსაც ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2013 წლის 27 მარტიდან "გაერთიანებული აგროპროექტის" ფარგლებში,
- აგრო დაზღვევა (2014 წლიდან დღემდე). სასოფლო-სამეურნეო სადაზღვევო პროგრამა ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან და მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის დაზღვევის ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, შემოსავლის შენარჩუნებას ფიზიკური პირების მიერ აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისა და რისკების შემცირების მიზნით.
- აგრო დამამუშავებელი და სასაწყობე საწარმოების თანადაფინანსება (2013 წლიდან დღემდე). პროექტი ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ხორციელდება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს: 1) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი და 2) სასაწყობე საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი.
- აწარმოე საქართველოში (2014 წლიდან დღემდე). პროგრამას "აწარმოე საქართველოში" ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
- სეზონური პროექტები (2014 წლიდან დღემდე). სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ასრულებს სხვადასხვა სეზონურ პროგრამებს ქვეყნის მოთხოვნების შესაბამისად. დღეისათვის არსებობს ორი სეზონური პროგრამა: სამრეწველო მანდარინის მხარდაჭერის პროგრამა (2014 წლიდან) და ვაშლის ფასების ხელშეწყობის პროექტი (2014 წლიდან).

სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს⁴ მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით:

- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა (2016 წლიდან დღემდე). პროგრამა ითვალისწინებს მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო

³ <http://apma.ge>

⁴ <http://acda.gov.ge/index.php/eng>

დანართი 8: ძირითად სერვისები და პროგრამები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში

კოოპერატივების მხარდაჭერას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების წარმოებაში

- რძის წარმოების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა (2017 წლიდან დღემდე). პროგრამა ხელს უწყობს რძის პროდუქტების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, განავითარონ თანამშრომლობა აგრარულ სექტორში, კერძოდ, განავითარონ საქართველოში რძის პროდუქტების წარმოება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის მიერ⁵ მუნიციპალიტეტში:

სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი უზრუნველყოფს ფერმერებისთვის რეგულარულ კონსულტაციებსა და ინფორმაციის გაზიარებას. იგი აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს და საზოგადოებას აწვდის სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით მექანიზაციის სერვის ცენტრები⁶:

მექანიზაციის სერვის ცენტრი ემსახურება ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციას და სთავაზობს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას კონსულტაციებსა და ტრენინგებს. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ფერმერებს შეუძლიათ მეზობელი მუნიციპალიტეტების (მაგალითად, ახალციხის) მექანიზაციის სერვის ცენტრებით სარგებლობა. ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებთან ერთად, ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ნიადაგის ლაბორატორიით და მას შეუძლია შესთავაზოს ფასიანი ნიადაგის ანალიზი ადგილობრივ ფერმერებს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს⁷ სახელით:

1. სახელმწიფო პენსია - 180 ლარი ქალისათვის 60 წელზე ზემოთ და მამაკაცისთვის-65 წლის ზემოთ. ახალქალაქის მოსახლეობისთვის პენსია დამატებით 20% მეტია, რადგან ისინი მთის მოსახლეობას წარმოადგენენ. ჯამური თანხა 216 ლარს შეადგენს. ეს არის საყოველთაო ყოველთვიური გადასახადი და არ არის დამოკიდებული წარსულის სამუშაო ჩანაწერზე.
2. სახელმწიფო კომპენსაცია - გაიცემა პენსიონერ სახელმწიფო მოხელეებზე. კომპენსაციის ოდენობა მერყეობს და კრიტერიუმები, რომლებითაც ის გამოითვლება, რეგულირდება კანონით *სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების* შესახებ.
3. საყოფაცხოვრებო და კომუნალური სუბსიდია გაიცემა ომით დაზარალებულ ადამიანებსა და ვეტერანებზე, დევნილებზე და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლ ოჯახებზე. კიდევ ერთი კატეგორიაა ჩერნობილის ბირთვულ ობიექტებზე საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეები. სუბსიდია მერყეობს ყველაზე დაბალი 7 ლარიდან 44 ლარამდე.
4. ერთჯერადი დახმარება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლისთვის შვებულების ანაზღაურება, ასევე ახალშობილთა შვილად აყვანა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, ეს ასევე მოიცავს შვებულებას.
5. სოციალური პაკეტი - გადაეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს; უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში; საქართველოში მოქალაქეობის არმქონე სტატუსის მქონე პირის შემთხვევაში; უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისას; ინვალიდობის სტატუსის გამო სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში; მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში; მონაწილეობის მსურველის ომში გარდაცვალების შემთხვევაში ან მისი მშობლის, მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ომის შემდეგ; ომში მონაწილეობის შემთხვევაში;

⁵ <http://www.moa.gov.ge/En/Regions>

⁶ <http://mechanization.ge>

⁷ http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=1

დანართი 8: ძირითად სერვისები და პროგრამები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში

ომის შემთხვევაში; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისათვის სოციალური პაკეტის დანიშნვის შემთხვევაში; მშობლის, მეუღლის, როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში; მარტოობის შემთხვევაში. სოციალური პაკეტის კრიტერიუმები და თანხა რეგულირდება სახელმწიფო კანონის # 279 მუხლით სახელმწიფო პაკეტების განსაზღვრის შესახებ. თანხა იწყება 100 ლარიდან და არ აღემატება 600 ლარს. მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილია. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პირველი და მეორე ჯგუფებიდან, პირველი ჯგუფი თვეში 100 ლარს მიიღებს, პლუს, მთაში ცხოვრების 20%, რაც მთლიანად შეადგენს 120 ლარს. პირველი მეორე ჯგუფი მიიღებს 180 ლარს და შესაბამისად 20%-ს, რაც მთლიანად 216 ლარს შეადგენს.

არსებობს **სოციალური პროგრამების** რამდენიმე ტიპი, როგორცაა საარსებო შემწეობა, რომელიც ქულების სისტემაზეა დაფუძნებული. ოჯახმა ერთიან მონაცემთა ბაზას უნდა მიმართოს, სახელმწიფო სააგენტო იღებს შეფასებას კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე და განუსაზღვრავს გარკვეულ ქულებს. შესაბამისად, 30 001 ქულაზე ოჯახის თითოეული წევრი იღებს 60 და კიდევ 10 ლარს, თუ ოჯახს ჰყავს 11 წლამდე ასაკის ბავშვი. 30 001-დან 57 001-მდე ქულის შემთხვევაში, თითოეული ოჯახის წევრი იღებს 50 ლარს და 11 წლამდე ასაკის ყოველ შვილზე -10 ლარს. 57 001 - 60 001 ქულით შეფასებისას, თითოეული ოჯახის წევრმა იღებს 40 ლარს. 60 001-დან 650 001-მდე ქულების შემთხვევაში თითოეული ოჯახი წევრი იღებს 30 ლარს. თუ ოჯახს აქვს 65 001-დან 100 001 ქულა, მაშინ ოჯახი 16 წლამდე თითო ბავშვზე მიიღებს მხოლოდ 10 ლარს.

ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის მიერ მოწოდებული მომსახურება: უფასო ექიმი-სპეციალისტების კონსულტაცია; ფიზიოთერაპია და ლაბორატორიული-ინსტრუმენტული კვლევა; ბალნეოლოგიური პროცედურების განხორციელება; ფიზიკური და მექანიკური თერაპიის პროცედურებით მკურნალობა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ეტლების, სმენის აპარატებისა და სხვა სარეაბილიტაციო ნივთები/მოწყობილობების გადაცემა.

სმენის პრობლემების მქონე ხალხის სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საქართველოში არსებობს მუნიციპალიტეტები, რომელთაც აქვს დღის ცენტრები, სადაც ჩარიცხული ბენეფიციარები იღებენ კვებას, საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას და მხარდაჭერას, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგებს, სამედიცინო და ამბულატორიულ შემოწმებას, ქცევითი დარღვევების იდენტიფიცირებას და გაუმჯობესებას, ინკლუზიური განათლებას. სამწუხაროდ, ასეთი დაწესებულება არ არსებობს ახალქალაქში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა მოიცავს: საცხოვრებელი უზრუნველყოფას, ყოველდღიურ მომსახურებას და სამჯერადი კვებით უზრუნველყოფას, პირველადი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და საკანცელარიო სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას; ბენეფიციარების ინდივიდუალური მომსახურების პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას დამოუკიდებლობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას (ბენეფიციართა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და სურვილების გათვალისწინებით - შერჩევა, სწავლება და პრაქტიკული გამოყენება); ყველა ასაკისა და სქესის შესაბამისი ნივთები სეზონური ტანსაცმლით და პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფას; რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ამ ტიპის ქვეპროგრამა არ არის მოწოდებული. არსებობს კიდევ ერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს თავშესაფრით, საქართველოს მთავრობის, ბრძანებულება №262, მარტი 31, 2014. დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს მატერიალური წახალისების უზრუნველყოფას. 2017 წლის 1 იანვრიდან სამცხე-ჯავახეთი ჩაერთო ამ პროგრამაში. ბენეფიციარს მთიანი რეგიონის მოსახლეობისთვის ყოველთვიურად ენიჭება ფინანსური დახმარება - 200 ლარი. მონეტარული დახმარება გაიცემა ბავშვზე 2 წლამდე.

დანართი 8: ძირითადი სერვისები და პროგრამები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში

ასევე არსებობს **ბავშვთა მოვლის მომსახურება**, რომელიც მოიცავს:

ბავშვის აყვანას;

ბავშვის მომვლელის დანიშვნას;

ბავშვთა მოვლის ალტერნატიული ფორმებია:

ა) ბავშვის ამყვანის ზრუნვა - სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვის ოჯახში მდგომარეობის გაზრდის უზრუნველსაყოფად;

ბ) ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახური გარემო;

გ) რეინტეგრაცია ბავშვთა სახლებიდან დაბრუნების ხელშეწყობა ბიოლოგიური ოჯახებისათვის. რეინტეგრაციის შემთხვევაში, ოჯახის სოციალური ფუნქციონის ამაღლება, მისი გაძლიერება და ბავშვთა დაწესებულებებში დაბრუნების რისკების მინიმუმამდე შემცირება;

ძალადობისგან ბავშვთა დაცვა;

საოჯახო დახმარების პროფილაქტიკური საქმიანობა: დღის ცენტრები და საკვების მიწოდება ბავშვებისთვის, რომლებიც მიტოვების რისკის ქვეშ არიან.

ბავშვთა რეაბილიტაცია და აბილიტაცია;

ბავშვთა ადრეული განვითარება - ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება ან სოციალური კოჰეზიის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, რათა ხელი შეუშალოს და შეაჩეროს მიტოვების შესაძლებლობები;

უსახლკარო ბავშვთა თავშესაფრის უზრუნველყოფა;

გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე ბავშვებისთვის მათი გადაუდებელი საჭიროებების დაკმაყოფილება.

არსებობს სხვა ჯანდაცვის მომსახურება, რომელიც მოიცავს:

ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურს;

ბენეფიციარების სპეციფიკური ჯანდაცვის პროგრამებს (ტუბერკულოზი, აივ, შაქრიანი დიაბეტი, ნარკომანია და ა.შ.);

ქრონიკული დაავადებებისადმი მედიკამენტების მხარდაჭერა;

C- ჰეპატიტი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს⁸ რეგიონალური ოფისი ახალქალაქში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით:

სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარულ და ფიტოსანიტარულ კონტროლს. კონტროლის მიზანია სურსათის/ცხოველური საკვების უსაფრთხოების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით: ინსპექცია, მონიტორინგი; ზედამხედველობა, დოკუმენტური შემოწმება, ნიმუშის აღება.

ახალციხეში მდებარე სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურის წარმომადგენლობაში მუშაობს 5 სურსათის უვნებლობის სპეციალისტი.

ვეტერინარიის დეპარტამენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციებია: ვეტერინარული პრეპარატების ბრუნვის კონტროლი; ცხოველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია; ბიზნეს ოპერატორებთან ერთად ვაქცინაცია; მისი კომპეტენციის ფარგლებში ცხოველთა დაავადებების დიაგნოზი; ცხოველთა მიგრაციის ზედამხედველობა (სეზონური სამოვრების ჩათვლით); ბიოლოგიური ნარჩენების შეგროვების, გამოყენებისა და განადგურების ზედამხედველობა (გარდა საშიში და სამედიცინო ნარჩენებისა). არსებობს რამდენიმე დაავადება, რომელსაც მოიცავს სახელმწიფო ვაქცინაციის პროგრამას, როგორცაა ჯილეხი, ცოფი, ბრუცელოზი, თურქული, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი, ნოდურალური დერმატიტი, (ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება) CCHF. ახალქალაქში ვეტერინარულ განყოფილებას ჰყავს 16 თანამშრომელი, რომელთაგან 14 ვეტერინარია და 2 ვეტერინარი ტექნიკოსი. უნდა აღინიშნოს, რომ არ არიან ქალი ვეტერინარები, ასევე ამ სექტორს ახალგაზრდა სპეციალისტებიც აკლია. ყველაზე ახალგაზრდა ვეტერინარი 45 წლისაა. სექტორს აქვს ტრანსპორტირების პრობლემა, რადგან ვეტერინარები არ

⁸ <http://nfa.gov.ge/en/>

დანართი 8: ძირითადი სერვისები და პროგრამები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში

არიან უზრუნველყოფილი ტრანსპორტით და თვითონ იყენებენ საკუთარ ტრანსპორტს. არსებობს ლაბორატორიის საჭიროებაც, რომელიც შეიძლება შეიცავდეს უფასო და ფასიან მომსახურებას.